ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, გია ბასილაძის ამომრჩეველთან საანგარიშო შეხვედრის

ო ქ მ ი N2

შეხვედრის დრო: 2023 წლის 27 ოქტომბერი. 17:00 სთ.
შეხვედრის ადგილი: ქალაქი ქუთაისი,
ლ.ნუცუბიძის ქ.N1, ა(ა)იპ ქუთაისის ილია
ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის შენობა

ამომრჩევლებთან შეხვედრას უძღვებოდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბატონი გია ბასილაძე.

სხდომას ესწრებოდნენ ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბატონი ირაკლი შენგელია, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბატონი ბაქარ მახარაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბატონი პაატა ლილუაშვილი, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ქალბატონი თეა ჯუღელი, საკრებულოს ფრაქცია ქართული ოცნების თავმჯდომარის მოადგილე ბატონი ჯემალ ბიბილეიშვილი, ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლები: აკაკი გიორგაძე („ვაკისუბანის“ ადმინისტრაციული ერთეული), შალვა ლომთაძე („გუმათის“ ადმინისტრაციული ერთეული), ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ლია ჩახუნაშვილი, საქმისწარმოებისა და მოქალაქეთა მიღების განყოფილების ხელმძღვანელი მაკა ავალიანი, საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-ადმინისტრაციული განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნიკოლოზ ჩიხლაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მოწვეული სპეციალისტი თეკლა ბრეგაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი მარიამ ამბროლაძე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანაშემწე თეკლა გველესიანი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ანგარიში, 2023 წლის განმავლობაში გაწეული სამუშაოს შესახებ.

ზემოაღნიშნული საკითხი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, ბატონმა გია ბასილაძემ: „მე,

მოადგილეს, ანგარიშვალდებულება ამომრჩევლების წინაშე და საჯაროობის პრინციპის დაცვა, მავალდებულებს ყოველწლიური ანგარიში ჩაგაბაროთ გაწეული საქმიანობის შესახებ. კანონით ნაკისრი ეს ვალდებულება, საშუალებას გვაძლევს ამომრჩევლებს მიეწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია ჩემი საკრებულოში საქმიანობის თაობაზე.

2021 წლის 3 დეკემბრიდან დღემდე ვარ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი. ქალაქ ქუთაისის საკრებულოში არის ხუთი მუდმივმოქმედი კომისია, რომლებიც საკრებულოს ბიუროზე წარსადგენად სამუშაო გეგმის შესაბამისად შეიმუშავებს, განიხილავს და ამზადებს საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტებს. თითოეული გადაწყვეტილება, რომელიც საბოლოოდ საკრებულოს სხდომაზე სამართლებრივი აქტის სახეს იღებს, მუშავდება სწორედ კომისიების მიერ საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს რეგლამენტითა და შესაბამისი კომისიის დებულებით განსაზღვრული პროცედურების დაცვით, თავიანთი სფეროების შესაბამისად.

თავად ვარ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი. ჩემი უფლებამოსილების ფარგლებში ვახორციელებ ჩემზე დაკისრებულ ვალდებულებებს და აქტიურ მონაწილეობას ვიღებ საკრებულოს კომისიების მუშაობაში.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, მიმდინარე მოწვევის პერიოდში, ჩემი მონაწილეობით ჩატარდა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 10 სხდომა. მათზე განხილული იქნა 42 საკითხი. კომისიის მიერ, მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო საქართველოს საკანონმდებლო აქტებით, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით, ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის პროექტის განხილვის, დამტკიცებისა და დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის საკითხებს.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიას საანგარიშო პერიოდში ჩატარებული აქვს 23 სხდომა, სადაც განხილული იქნა 61 საკითხი, რომლებზეც მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილებები და შემუშავებულია დასკვნები. იურიდიულ საკითხთა კომისია აქტიურად არის ჩაბმული საკრებულოს სამუშაო პროცესში, მონაწილეობს საკრებულოში შემოსული პროექტების განხილვაში, ამზადებს შენიშვნებს, რეკომენდაციებს, დასკვნებს და შემდგომში მიღების მიზნით გადასცემს შესაბამის ორგანოებს.

საანგარიშო პერიოდში რეგლამენტითა და სხვა შესაბამისი კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურების დაცვით ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ჩაატარა 12 რიგითი და 4 რიგგარეშე საკრებულოს სხდომა. საკრებულოს სხდომაზე გამოტანილი ყველა საკითხი, რომლის განხილვაშიც მივიღე მონაწილეობა იყო მნიშვნელოვანი და ჩემს მიერ მხარდაჭერილი.

როგორც ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უმრავლესობის ლიდერი საანგარიშო პერიოდში დავესწარი უმრავლესობის ყველა სხდომას. ასევე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ რვა სხდომას , რომელზეც განხილული იქნა რვა საკითხი.

ფრაქციის სხდომებზე განხილული საკითხებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინფრასტუქტურის პროექტების მხარდაჭერა და ფრაქციის ინიციატივა სკოლის მოსწავლეებისათვის სამგზავრო შეღავათების დაწესებასთან დაკავშირებით.

აღნიშნულ პერიოდში,როგორც საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ მონაწილეობა მივიღე სხვადასხვა სოციალურ და საქველმოქმედო ღონისძიებაში. თითოეულ აქტივობაში მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცა მოსახლეობის საჭირბოროტო საკითხების მოგვარებას, ქვეყნისათვის თავდადებული ადამიანების ხსოვნის პატივგებას, მომავალი თაობის მიერ მიღწეული წარმატებების წახალისებას. შეუძლებელია აქ ყველა იმ ღონისძიებაზე დეტალურად ისაუბრო, რასაც საკრებულო ახორციელებს არაერთი შეჭირვებული თუ სხვადასხვა სფეროს ღვაწმოსილ ადამიანთა დაფასების, მორალური თანადგომისა და მხარდაჭერის გამოსახატავად.

კერძოდ, ქუთაისის პირველ, 30-ე, 26-ე, 23-ე და 32-ე საჯარო სკოლის წარმატებულ მოსწავლეებს კომპიუტერები გადაეცათ.

საზეიმოდ გაიხსნა მაია ჩიბურდანიძის სახელობის რეაბილიტირებული საჭადრაკო სკოლა.

480 დევნილ ოჯახს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საცხოვრებელი ბინები საკუთრებაში გაადეცათ.

გაიხსნა ოლიმპიური სტანდარტის საცურაო აუზი და რამაზ შენგელაის სახელობის განახლებული სტადიონი.

მოეწყო ახალი რეკრეაციული სივრცე მუხრანის ადმინისტრაციულ ერთეულში, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ტიპის განათებებით, ძელსკამებითა და საბავშვო გასართობებით.

კუპრაძის ქუჩაზე დასრულდა სპორტული დარბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მრავალფუნქციური ცენტრი გაიხსნა.პროექტის ფარგლებში სრულად გარემონტდა უნივერსიტეტის კორპუსი – მოეწყო საკონფერენციო და საგამოფენო სივრცეები, 456 მსმენელზე გათვლილი საკონცერტო დარბაზი, სარეპეტიციო დარბაზი, სველი წერტილები და გამოსაცვლელი ოთახები.

ასევე ჩატარდა სხვადასხვა სახეობის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების, კერძოდ მინი სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია.

მიმდინარე წელს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტმა, საქართველოს პარლამენტთან ერთად, გაეროს განვითარების პროგრამის („UNDP") ფინანსური მხარაჭერით შეიმუშავა სპორტის განვითარების კონცეფცია. ადგილობრივი თვითმმართველობა უზრუნველყოფს სპორტის იმგვარი პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებას, რომელიც ემსახურება

ინკლუზიური ადგილობრივი საზოგადოების გაძლიერებას, მის კეთილდღეობასა და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. კონცეფციის სტრატეგიული პრიორიტეტები და მიზნები განისაზღვრა დაინტერესებულ მხარეებთან გამართული კონსულტაციების, ჩატარებული თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევების, აგრეთვე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თითმმართველობის მონაწილეობით გამართული სამუშაო შეხვედრების შედეგების გათვალისწინებით. ქალაქ ქუთაისის სპორტის პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტის სიღრმისეული ანალიზი, საბაზისო მონაცემები, პოლიტიკის სუსტი და ძლიერი მხარეები, რისკები და შესაძლებლობები, აგრეთვე პოლიტიკის გაუმჯობესების ძირითადი მიმართულებები წარმოდგენილია 2023 წელს მომზადებული კვლევის ანგარიშში „ქუთაისის სპორტის პოლიტიკის ანალიზი".

როგორც საკრებულოს წევრს მაქვს ყოველდღიური შეხვედრები მოსახლეობასთან. საანგარიშო პერიოდში ჩემთან მიღებაზე იმყოფებოდა 609 მოქალაქე, რომელთა თხოვნები, ძირითადად ეხება საყოფაცხოვრებო და მატერიალურ საკითხებს. ვისმენ მათ პრობლემებს და უფლებამოსილების ფარგლებში, მივმართავ შესაბამის ორგანოებს მათ გადასაჭრელად.

ჩემს ანგარიშში ყურადღება გავამახვილე, კონკრეტულად იმ საკითებზე და პრობლემებზე, რომელთა გადაწყვეტაში აქტიურად ვმონაწილეობდი და მივიღეთ დადებით შედეგი, ყოველივე ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქალაქისათვის.

ნდობის მაღალი მანდატი, რომელიც განპირობებულია საზოგადოებისა და საკრებულოს წევრების მხრიდან, ზრდის ჩემს პასუხისმგებლობას საქმისა და თითოეული ამომრჩევლის მიმართ. ჩემი საქმიანობის მთავარი მიმართულებაც გამოცხადებული ნდობის გამართლებაა.

ვიმედოვნებ, რომ მომავალ წელსაც ასეთი აქტიური და ნაყოფიერი სამუშაო წელი იქნება და კიდევ ბევრ კარგ პროექტსა თუ ინიციატივას ჩავუყრით საფუძველს ჩვენი ქალაქისა და მოსახლეობის კეთილდღეობისათვის.

ბოლოს მინდა მადლობა მოგახსენოთ თითოეულ თქვენგანს მობრძანებისა და ნდობის გამოხატვისთვის, რომ შესაძლებლობის ფარგლებში მომეცა საშუალება წვლილი შემეტანა ჩვენი ქალაქის კეთილდღეობასა და განვითარებაში.

ამით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, გია ბასილაძის ამომრჩევლებთან საანგარიშო შეხვედრა დასრულდა.

აღნიშნულ ანგარიშთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის წევრი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გია ბასილაძე

საჯარო შეხვედრის წარმართვაზე პასუხისმგებელი პირი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილის თანაშემწე

თეკლა გველესიანი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, გია ბასილაძის 2023 წლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მე, როგორც საკრებულოს წევრსა და ამავდროულად საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, ანგარიშვალდებულება ამომრჩევლების წინაშე და საჯაროობის პრინციპის დაცვა, მავალდებულებს ყოველწლიური ანგარიში ჩაგაბაროთ გაწეული საქმიანობის შესახებ. კანონით ნაკისრი ეს ვალდებულება, საშუალებას გვაძლევს ამომრჩევლებს მიეწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია ჩემი საკრებულოში საქმიანობის თაობაზე.

2021 წლის 3 დეკემბრიდან დღემდე ვარ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი. ქალაქ ქუთაისის საკრებულოში არის ხუთი მუდმივმოქმედი კომისია, რომლებიც საკრებულოს ბიუროზე წარსადგენად სამუშაო გეგმის შესაბამისად შეიმუშავებს, განიხილავს და ამზადებს საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტებს. თითოეული გადაწყვეტილება, რომელიც საბოლოოდ საკრებულოს სხდომაზე სამართლებრივი აქტის სახეს იღებს, მუშავდება სწორედ კომისიების მიერ საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს რეგლამენტითა და შესაბამისი კომისიის დებულებით განსაზღვრული პროცედურების დაცვით, თავიანთი სფეროების შესაბამისად.

თავად ვარ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი. ჩემი უფლებამოსილების ფარგლებში ვახორციელებ ჩემზე დაკისრებულ ვალდებულებებს და აქტიურ მონაწილეობას ვიღებ საკრებულოს კომისიების მუშაობაში.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, მიმდინარე მოწვევის პერიოდში, ჩემი მონაწილეობით ჩატარდა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 10 სხდომა. მათზე განხილული იქნა 42 საკითხი. კომისიის მიერ, მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო საქართველოს საკანონმდებლო აქტებით, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით, ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის პროექტის განხილვის, დამტკიცებისა და დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის საკითხებს.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიას საანგარიშო პერიოდში ჩატარებული აქვს 23 სხდომა, სადაც განხილული იქნა 61 საკითხი, რომლებზეც მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილებები და შემუშავებულია დასკვნები. იურიდიულ საკითხთა კომისია აქტიურად არის ჩაბმული საკრებულოს სამუშაო პროცესში, მონაწილეობს საკრებულოში შემოსული პროექტების განხილვაში, ამზადებს შენიშვნებს, რეკომენდაციებს, დასკვნებს და შემდგომში მიღების მიზნით გადასცემს შესაბამის ორგანოებს.

საანგარიშო პერიოდში რეგლამენტითა და სხვა შესაბამისი კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურების დაცვით ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ჩაატარა 12 რიგითი და 4 რიგგარეშე საკრებულოს სხდომა. საკრებულოს სხდომაზე გამოტანილი ყველა საკითხი, რომლის განხილვაშიც მივიღე მონაწილეობა იყო მნიშვნელოვანი და ჩემს მიერ მხარდაჭერილი.

როგორც ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უმრავლესობის ლიდერი საანგარიშო პერიოდში დავესწარი უმრავლესობის ყველა სხდომას. ასევე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" რვა სხდომას , რომელზეც განხილული იქნა რვა საკითხი.

ფრაქციის სხდომებზე განხილული საკითხებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინფრასტუქტურის პროექტების მხარდაჭერა და ფრაქციის ინიციატივა სკოლის მოსწავლეებისათვის სამგზავრო შეღავათების დაწესებასთან დაკავშირებით.

აღნიშნულ პერიოდში,როგორც საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ მონაწილეობა მივიღე სხვადასხვა სოციალურ და საქველმოქმედო ღონისძიებაში. თითოეულ აქტივობაში მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცა მოსახლეობის საჭირბოროტო საკითხების მოგვარებას, ქვეყნისათვის თავდადებული ადამიანების ხსოვნის პატივგებას, მომავალი თაობის მიერ მიღწეული წარმატებების წახალისებას. შეუძლებელია აქ ყველა იმ ღონისძიებაზე დეტალურად ისაუბრო, რასაც საკრებულო ახორციელებს არაერთი შეჭირვებული თუ სხვადასხვა სფეროს ღვაწმოსილ ადამიანთა დაფასების, მორალური თანადგომისა და მხარდაჭერის გამოსახატავად.

კერძოდ, ქუთაისის პირველ, 30-ე, 26-ე, 23-ე და 32-ე საჯარო სკოლის წარმატებულ მოსწავლეებს კომპიუტერები გადაეცათ.

საზეიმოდ გაიხსნა მაია ჩიბურდანიძის სახელობის რეაბილიტირებული საჭადრაკო სკოლა.

480 დევნილ ოჯახს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საცხოვრებელი ბინები საკუთრებაში გაადეცათ.

გაიხსნა ოლიმპიური სტანდარტის საცურაო აუზი და რამაზ შენგელაის სახელობის განახლებული სტადიონი.

მოეწყო ახალი რეკრეაციული სივრცე მუხრანის ადმინისტრაციულ ერთეულში, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ტიპის განათებებით, ძელსკამებითა და საბავშვო გასართობებით.

კუპრაძის ქუჩაზე დასრულდა სპორტული დარბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მრავალფუნქციური ცენტრი გაიხსნა.პროექტის ფარგლებში სრულად გარემონტდა უნივერსიტეტის კორპუსი – მოეწყო საკონფერენციო და საგამოფენო სივრცეები, 456 მსმენელზე გათვლილი

საკონცერტო დარბაზი, სარეპეტიციო დარბაზი, სველი წერტილები და გამოსაცვლელი ოთახები.

ასევე ჩატარდა სხვადასხვა სახეობის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების, კერძოდ მინი სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია.

მიმდინარე წელს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტმა, საქართველოს პარლამენტთან ერთად, გაეროს განვითარების პროგრამის („UNDP") ფინანსური მხარაჭერით შეიმუშავა სპორტის განვითარების კონცეფცია. ადგილობრივი თვითმმართველობა უზრუნველყოფს სპორტის იმგვარი პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებას, რომელიც ემსახურება ინკლუზიური ადგილობრივი საზოგადოების გაძლიერებას, მის კეთილდღეობასა და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. კონცეფციის სტრატეგიული პრიორიტეტები და მიზნები განისაზღვრა დაინტერესებულ მხარეებთან გამართული კონსულტაციების, ჩატარებული თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევების, აგრეთვე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თითმმართველობის მონაწილეობით გამართული სამუშაო შეხვედრების შედეგების გათვალისწინებით. ქალაქ ქუთაისის სპორტის პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტის სიღრმისეული ანალიზი, საბაზისო მონაცემები, პოლიტიკის სუსტი და ძლიერი მხარეები, რისკები და შესაძლებლობები, აგრეთვე პოლიტიკის გაუმჯობესების ძირითადი მიმართულებები წარმოდგენილია 2023 წელს მომზადებული კვლევის ანგარიშში „ქუთაისის სპორტის პოლიტიკის ანალიზი".

როგორც საკრებულოს წევრს მაქვს ყოველდღიური შეხვედრები მოსახლეობასთან. საანგარიშო პერიოდში ჩემთან მიღებაზე იმყოფებოდა 609 მოქალაქე, რომელთა თხოვნები, ძირითადად ეხება საყოფაცხოვრებო და მატერიალურ საკითხებს. ვისმენ მათ პრობლემებს და უფლებამოსილების ფარგლებში, მივმართავ შესაბამის ორგანოებს მათ გადასაჭრელად.

ჩემს ანგარიშში ყურადღება გავამახვილე, კონკრეტულად იმ საკითებზე და პრობლემებზე, რომელთა გადაწყვეტაში აქტიურად ვმონაწილეობდი და მივიღეთ დადებით შედეგი, ყოველივე ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქალაქისათვის.

ნდობის მაღალი მანდატი, რომელიც განპირობებულია საზოგადოებისა და საკრებულოს წევრების მხრიდან, ზრდის ჩემს პასუხისმგებლობას საქმისა და თითოეული ამომრჩევლის მიმართ. ჩემი საქმიანობის მთავარი მიმართულებაც გამოცხადებული ნდობის გამართლებაა.

ვიმედოვნებ, რომ მომავალ წელსაც ასეთი აქტიური და ნაყოფიერი სამუშაო წელი იქნება და კიდევ ბევრ კარგ პროექტსა თუ ინიციატივას ჩავუყრით საფუძველს ჩვენი ქალაქისა და მოსახლეობის კეთილდღეობისათვის.

ბოლოს მინდა მადლობა მოგახსენოთ თითოეულ თქვენგანს მობრძანებისა და ნდობის გამოხატვისთვის, რომ შესაძლებლობის ფარგლებში მომეცა საშუალება წვლილი შემეტანა ჩვენი ქალაქის კეთილდღეობასა და განვითარებაში.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გია ბასილაძე